# საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 244/ნ
# 2009 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

## “სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმების უფლებისა და შესაბამისი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის ნუსხის დამტკიცების შესახებ”

“ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ :**

1. ¨დამტკიცდეს სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმების უფლებისა და შესაბამისი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის თანდართული ნუსხა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს “სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმების უფლებისა და შესაბამისი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის ნუსხის დამტკიცების შესახებ”¨ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 26 ივლისის N173/ნ ბრძანება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე III, N80, 2004 წ., მუხ.719).

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ა. კვიტაშვილი*

დანართი *(14.03.2014 N 01-11/ნ)*

### სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმების უფლებისა და შესაბამისი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის ნუსხა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1.** | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - მედიცინა (სამკურნალო, პედიატრიული და სამხედრო ექიმის ან/და მედიცინის ფაკულტეტი) | | | | ა.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების უმცროსი ექიმი;<br><br>ა.ა.ბ) სამედიცინო დაწესებულების ექთანი (მ.შ. შესაბამისი ხელმძღვანელი თანამდებობა);<br><br>ა.ა.გ) სამედიცინო დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი;<br><br>ა.ა.დ) ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური თანამდებობა მედიცინის თეორიულ დარგებში - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *(13.03.2016 N01-13/ნ)* | | ა) დიპლომირებული მედიკოსი | | | | | |
| | | | | ა.ბ) ზოგადი პროფილის ექიმი (მკურნალი/პედიატრი/ სამხედრო ექიმი) | ა.ბ.ა) სამედიცინო დაწესებულების მიმღები განყოფილების ექიმი (გარდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებისა (EMERGENCY));<br>ა.ბ.ბ) სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის არასპეციალიზებული ბრიგადის ექიმი (სპეციალიზაციის კურსის გავლის ან აღნიშნულ თანამდებობაზე 1 წლის მუშაობის სტაჟის არსებობის შემთხვევაში);<br>ა.ბ.გ) პირველადი ჯანდაცვის ექიმი სერტიფიკატით განსაზღვრულ სპეციალობაში;<br>ა.ბ.დ) სამედიცინო დაწესებულების უმცროსი ექიმი;<br>ა.ბ.ე) სამედიცინო დაწესებულების ექთანი (მ.შ. შესაბამისი ხელმძღვანელი თანამდებობა);<br>ა.ბ.ვ) ფარმაცევტულ დაწესებულებებში: ავტორიზებული აფთიაქი, აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი), საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი -თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია მზა სამკურნალწამლო ფორმების რეალიზაციასთან (გარდა სპეცკონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალწამლო ფორმებისა);<br>ა.ბ.ზ) სამედიცინო დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი;<br>ა.ბ.თ) ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური თანამდებობა მედიცინის თეორიულ დარგებში - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| | | | | ა.გ) ექიმი-სპეციალისტი (საექიმო სპეციალობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის შესაბამისად) | ა.გ.ა) სამედიცინო დაწესებულების ექიმი-სპეციალისტი (ყველა თანამდებობა) სერტიფიკატით განსაზღვრულ სპეციალობაში;<br><br>ა.გ.ბ) სამედიცინო (მ.შ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის) დაწესებულებაში ეპიდემიოლოგიისა და პრევენციული მედიცინის დარგების სპეციალისტის თანამდებობა გადამზადების შესაბამისი კურსის გავლის შემდეგ;<br><br>ა.გ.გ) სამედიცინო დაწესებულების ექთანი (მ.შ. შესაბამისი ხელმძღვანელი თანამდებობა);<br><br>ა.გ.დ) ფარმაცევტულ დაწესებულებებში: ავტორიზებული აფთიაქი, აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი), საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი -თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია მზა სამკურნალწამლო ფორმების რეალიზაციასთან (გარდა სპეცკონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალწამლო ფორმებისა);<br><br>ა.გ.ე) სამედიცინო დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი; | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ა.გ.ე) ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური თანამდებობა - | |
| | | | | ა.დ) ექიმი-სპეციალისტი, გარდა შემდეგი საექიმო სპეციალობებისა: ფსიქიატრია, ნარკოლოგია, სექსოლოგია, ფსიქოთერაპია, ბავშვთა ფსიქოთერაპია, სამედიცინო გენეტიკა, ჰომეოპათია, კლინიკური ფარმაკოლოგია, სამედიცინო პარაზიტოლოგია, ლაბორატორიული მედიცინა, პათოლოგიური ანატომია-კლინიკური პათოლოგია, სასამართლო მედიცინა, სამედიცინო რადიოლოგია, რადიოლოგია, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული დიაგნოსტიკა, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, რადიოიზოტოპური გამოკვლევა, რადიაციული თერაპია. | ა.დ.ა) სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის არასპეციალიზებული ბრიგადის ექიმი (სპეციალიზაციის კურსის გავლის შემდეგ ან აღნიშნულ თანამდებობაზე 1 წლის მუშაობის სტაჟის არსებობის შემთხვევაში);<br>ა.დ.ბ) პირველადი ჯანდაცვის ექიმი სოფლად. | |
| | | | | ა.ე) ექიმი-სპეციალისტი, რომელსაც: მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის შესრულება („ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“, „ანესთეზიოლოგია“, „ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“, „კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინა“, „კრიტიკული მედიცინა, ინტენსიური თერაპია“, „კრიტიკული მედიცინა“, „გადაუდებელი მედიცინა“/„ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა“), ხოლო იმ შემთხვევაში, | ა.ე.ა) ინტენსიური თერაპიის პალატის ექიმი მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებებში | „გადაუდებელი მედიცინის“ ექიმ-სპეციალისტს უფლება აქვს, განახორციელოს ბავშვთა კონტინგეტის მომსახურება (2020 წლამდე). |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | როდესაც აღნიშნული სპეციალობის პირების მოძიება არ არის შესაძლებელი, დასაქმების უფლება აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სხვა საექიმო სპეციალობებში სერტიფიცირებულ პირს, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალიზაციის კურსი გადაუდებელი შემთხვევების მართვის მიმართულებით, გარდა შემდეგი საექიმო სპეციალობებისა: ფსიქიატრია, ნარკოლოგია, სექსოლოგია, ფსიქოთერაპია, ბავშვთა ფსიქოთერაპია, სამედიცინო გენეტიკა, ჰომეოპათია, კლინიკური ფარმაკოლოგია, სამედიცინო პარაზიტოლოგია, ლაბორატორიული მედიცინა, პათოლოგიური ანატომია-კლინიკური პათოლოგია, სასამართლო მედიცინა, სამედიცინო რადიოლოგია, რადიოლოგია, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული დიაგნოსტიკა, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, რადიოიზოტოპური გამოკვლევა, რადიაციული თერაპია; სხვა ექიმი - სპეციალისტი, სერტიფიკატით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში | | |
| | | ბ) მედიცინის დოქტორი | | | ბ.ა.ა) ყველა პროფილური სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობა - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| | | გ) დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი (III-XII სემესტრი) | | | გ.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების ექთნის თანაშემწე (უმცროსი ექთანი). | |
| | | დ) დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი (VII-XII სემესტრი) | | | დ.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების ექთანი. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | უმაღლესი საგანმანათლებლო | | | ა.ა.ა) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/დაწესებულების უმცროსი ექიმი-სტომატოლოგი;<br>ა.ა.ბ) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/დაწესებულების ექთანი;<br>ა.ა.გ) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი; | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 *(8.10.2015 N01-46/ნ)* | დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - სტომატოლოგია | ა) დიპლომირებული სტომატოლოგი | | ა.ა.დ) ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური თანამდებობა შესაბამის თეორიულ დარგებში - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| | | | ა.ბ) ზოგადი პროფილის ექიმი სტომატოლოგი | ა.ბ.ა) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/დაწესებულების მორიგე ექიმი-სტომატოლოგი;<br><br>ა.ბ.ბ) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/დაწესებულების უმცროსი ექიმი-სტომატოლოგი;<br><br>ა.ბ.გ) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების ექთანი;<br><br>ა.ბ.დ) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი;<br>ა.ბ.ე) ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური თანამდებობა შესაბამის თეორიულ დარგებში - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| | | | ა.გ) ექიმი-სპეციალისტი (საექიმო სპეცილობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის შესაბამისად) | ა.გ.ა) სამედიცინო დაწესებულების ექიმი-სტომატოლოგი (ყველა თანამდებობა) სერტიფიკატით განსაზღვრულ სპეციალობაში;<br>ა.გ.ბ) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/<br><br>დაწესებულების ექთანი;<br>ა.გ.გ) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/<br><br>დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი;<br>ა.გ.დ) ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური თანამდებობა - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| | | ბ) სტომატოლოგიის დოქტორი | | ბ.ა.ა) ყველა პროფილური სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობა - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| | | გ) დიპლომირებული სტომატოლოგი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი<br>(VII-X სემესტრი) | | გ.ა.ა) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების ექთანი. | |
| | | დ) დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი<br>(III-X სემესტრი) | | დ.ა.ა) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების ექთნის თანაშემწე (უმცროსი ექთანი). | |
| 3 | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - საზოგადოებრივი | ა) საზოგადოებრ ივი ჯანდაცვის ბაკალავრი | | ა.ა.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებაში საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალისტის, ეპიდემიოლოგის, ჰიგიენისტის ყველა რიგითი თანამდებობა (ხელმძღვანელის გარდა);<br><br>ა.ა.ბ) პროფილურ ლაბორატორიაში ყველა რიგითი თანამდებობა (ხელმძღვანელის გარდა);<br><br>ა.ა.გ) სამედიცინო და სტომატოლოგიური | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| (8.10.2015 N01-46/ნ) | ჯანდაცვა (საზოგადოებრივი ჯანდაცვის, პროფილაქტიკური მედიცინის ან/და სანიტარია-ჰიგიენის ფაკულტეტი) | | | პროფილის კაბინეტის/დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი;<br><br>ა.ა.დ) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | ბ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი | | ბ.ა.ა) სამედიცინო (მ.შ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის) დაწესებულებაში ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი ყველა თანამდებობა (მ.შ. ხელმძღვანელი);<br>ბ.ა.ბ) პროფილურ ლაბორატორიაში ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი ყველა თანამდებობა (მ.შ. ხელმძღვანელი);<br>ბ.ა.გ) სამედიცინო და სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი;<br>ბ.ა.დ) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა თანამდებობა. | |
| | | | ბ.ბ) ზოგადი პროფილის ექიმი პროფილაქტიკოსი | ბ.ბ.ა) სამედიცინო (მ.შ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის) დაწესებულებაში ეპიდემიოლოგიისა და პრევენციული მედიცინის დარგების სპეციალისტის ყველა თანამდებობა (მ.შ. ხელმძღვანელი);<br>ბ.ბ.ბ)პროფილურ ლაბორატორიაში ყველა თანამდებობა (მ.შ. ხელმძღვანელი);<br>ბ.ბ.გ) სამედიცინო დაწესებულების ექთანი (მ.შ. შესაბამისი ხელმძღვანელი თანამდებობა);<br>ბ.ბ.დ) სამედიცინო და სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი;<br>ბ.ბ.ე) ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური თანამდებობა მედიცინის თეორიულ დარგებში - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| | | | ბ.გ) ექიმი-სპეციალისტი (საექიმო სპეცილობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის შესაბამისად) | ბ.გ.ა) სამედიცინო დაწესებულების ექიმი-სპეციალისტი (ყველა თანამდებობა) სერტიფიკატით განსაზღვრულ სპეციალობაში;<br>ბ.გ.ბ) სამედიცინო (მ.შ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის) დაწესებულებაში ეპიდემიოლოგიისა და პრევენციული მედიცინის დარგების სპეციალისტის ყველა თანამდებობა (მ.შ. ხელმძღვანელი);<br>ბ.გ.გ) პროფილურ ლაბორატორიაში ყველა თანამდებობა (მ.შ. ხელმძღვანელი);<br>ბ.გ.დ) სამედიცინო დაწესებულების ექთანი (მ.შ. შესაბამისი ხელმძღვანელი თანამდებობა);<br>ბ.გ.ე) სამედიცინო და სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი;<br>ბ.გ.ვ) ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური თანამდებობა - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | გ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი | | | გ.ა.ა) ყველა პროფილური სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობა - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| 4. | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - სამედიცინო ბიოლოგია (სამედიცინო ბიოლოგიის ფაკულტეტი) | | ა)დიპლომირებული სპეციალისტი (ექიმი-ლაბორანტი) | | ა.ა.ა) სამედიცინო პროფილის დიაგნოსტიკური ლაბორატორიის უმცროსი ექიმი ლაბორანტი;<br><br>ა.ა.ბ) სამედიცინო დაწესებულების ლაბორატორიის საშუალო სამედიცინო პერსონალი;<br><br>ა.ა.გ) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | | | ა.ბ) ზოგადი პროფილის ექიმი ლაბორანტი | ა.ბ.ა) სამედიცინო პროფილის დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ზოგადი პროფილის/მორიგე ექიმი ლაბორანტი;<br><br>ა.ბ.ბ) სამედიცინო პროფილის დიაგნოსტიკური ლაბორატორიის უმცროსი ექიმი ლაბორანტი;<br><br>ა.ბ.გ) სამედიცინო დაწესებულების ლაბორატორიის საშუალო სამედიცინო პერსონალი;<br><br>ა.ბ.დ) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | | | ა.გ) ლაბორატორიული მედიცინის/ლაბორატორიული საქმის ექიმი-სპეციალისტი | ა.გ.ა) სამედიცინო პროფილის დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ექიმი ლაბორანტის ყველა თანამდებობა (მ.შ. ხელმძღვანელი); | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ა.გ.ბ) სამედიცინო დაწესებულების ლაბორატორიის საშუალო სამედიცინო პერსონალი;<br><br>ა.გ.გ) ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური თანამდებობა - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| 5. | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - ფსიქოთერაპია და ფსიქოსომატური მედიცინა (ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედიცინის ფაკულტეტი) | | ა)დიპლომირებული სპეციალისტი (ექიმი-ფსიქოთერაპევტი) | | ა.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების უმცროსი ექიმი-ფსიქოთერაპევტი;<br><br>ა.ა.ბ) სამედიცინო დაწესებულების ექთანი (მ.შ. შესაბამისი ხელმძღვანელი თანამდებობა);<br><br>ა.ა.გ) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | | | ა.ბ) ზოგადი პროფილის ექიმი ფსიქოთერაპევტი | ა.ბ.ა) სამედიცინო დაწესებულების ზოგადი პროფილის ექიმი -ფსიქოთერაპევტი;<br><br>ა.ბ.ბ) სამედიცინო დაწესებულების უმცროსი ექიმი-ფსიქოთერაპევტი;<br><br>ა.ბ.გ) სამედიცინო დაწესებულების ექთანი (მ.შ. შესაბამისი ხელმძღვანელი თანამდებობა);<br><br>ა.ბ.დ) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | | | ა.გ) ექიმი-სპეციალისტი ფსიქოთერაპევტი | ა.გ.ა) სამედიცინო დაწესებულების ექიმი-ფსიქოთერაპევტის ყველა თანამდებობა; | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ა.გ.ბ) სამედიცინო დაწესებულების ექთანი (მ.შ. შესაბამისი ხელმძღვანელი თანამდებობა);<br><br>ა.გ.გ) ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური თანამდებობა - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6.<br>*(12.01.2016 N01-1/ნ)* | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - ფარმაცია | ა) ფარმაციის ბაკალავრი | | | ა.ა.ა) ფარმაცევტულ დაწესებულებაში - ავტორიზებული აფთიაქი - თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციასთან (გარდა სპეცკონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალწამლო ფორმებისა);<br><br>ა.ა.ბ) ფარმაცევტულ დაწესებულებებში: აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი), საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი - ყველა თანამდებობა;<br><br>ა.ა.გ)<br>ფარმაცევტული წარმოება, წამლის ხარისხის კონტროლის და ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია, ქიმიური რეაქტივებისა და სამედიცინო ტექნიკის დაწესებულებები - ყველა რიგითი თანამდებობა;<br><br>ა.ა.დ)<br>სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორია - ყველა რიგითი თანამდებობა;<br><br>ა.ა.ე) ყველა პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში ლაბორანტის თანამდებობა. | საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია:<br>ა) ავტორიზებული და/ან აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ;<br>ბ)ლიცენზირებული (ან კანონით ლიცენზირებულად ჩათვლილი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 2005–2006 სასწავლო წლის დაწყებამდე. |
| | | ბ) ფარმაციის მაგისტრი | პროვიზორი | | ბ.ა.ა) ფარმაცევტულ დაწესებულებებში: ავტორიზებული აფთიაქი, აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი), საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი - ყველა თანამდებობა;<br><br>ბ.ა.ბ)ფარმაცევტული წარმოება, წამლის<br>ხარისხის კონტროლის და ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია, ქიმიური რეაქტივებისა და სამედიცინო ტექნიკის დაწესებულებები - ყველა თანამდებობა;<br>ბ.ა.გ)<br>სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორია - ყველა პროფილური თანამდებობა;<br>ბ.ა.დ) სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულების კლინიცისტ-ფარმაცევტი (ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისად);<br>ბ.ა.ე) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | | | ბ.ბ) ზოგადი პროფილის ფარმაცევტი | ბ.ბ.ა) ფარმაცევტულ დაწესებულებებში: ავტორიზებული აფთიაქი, აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი), საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი - ყველა თანამდებობა;<br>ბ.ბ.ბ)ფარმაცევტული წარმოება, წამლის<br>ხარისხის კონტროლის და ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია, ქიმიური რეაქტივებისა და სამედიცინო ტექნიკის დაწესებულებები - ყველა თანამდებობა;<br>ბ.ბ.გ) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორია - ყველა პროფილური თანამდებობა;<br>ბ.ბ.დ) სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულების კლინიცისტ-ფარმაცევტი (ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისად);<br>ბ.ბ.ე) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | | | ბ.გ)ფარმაცევტ-სპეციალისტი | ბ.გ.ა) ფარმაცევტულ დაწესებულებებში: ავტორიზებული აფთიაქი, აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი), საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი - ყველა თანამდებობა;<br>ბ.გ.ბ)<br>ფარმაცევტული წარმოება, წამლისხარისხის კონტროლის და ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორია, ქიმიური რეაქტივებისა და სამედიცინო ტექნიკის დაწესებულებები - ყველა თანამდებობა;<br>ბ.გ.გ)<br>სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორია - ყველა პროფილური თანამდებობა;<br>ბ.გ.დ) სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულების კლინიცისტ-ფარმაცევტი (ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისად);<br>ბ.გ.ე) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | გ) ფარმაციის დოქტორი | | | გ.ა.ა) ყველა პროფილური სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობა - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| 7. | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია | ა) ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი | | | ა.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების ზოგადი რეაბილიტოლოგის თანამდებობა;<br><br>ა.ა.ბ) სარეაბილიტაციო და გამაჯანსაღებელი დაწესებულების ზოგადი რეაბილიტოლოგის თანამდებობა;<br><br>ა.ა.გ) სპორტული გუნდების ზოგადი რეაბილიტოლოგის თანამდებობა;<br><br>ა.ა.დ) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბ) ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი | | | ბ.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების სპეციალისტ-რეაბილიტოლოგის ყველა თანამდებობა (კომპეტენციის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისად);<br><br>ბ.ა.ბ) სარეაბილიტაციო და გამაჯანსელებელი დაწესებულების სპეციალისტ-რეაბილიტოლოგის ყველა თანამდებობა (კომპეტენციის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისად);<br><br>ბ.ა.გ) პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | გ) ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის დოქტორი | | | გ.ა.ა) ყველა პროფილური სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობა - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | |
| 8. | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - ოკუპაციური თერაპია | ა) ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი | | | ა.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების(ამბულატორიული და/ან სტაციონარული კლინიკა, რეაბილიტაციის ცენტრი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, ჰოსპისი და სხვ.) ოკუპაციური თერაპევტის თანამდებობა. | |
| 9. | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - ბიოლოგია, ქიმია | ა) ბიოლოგიის მაგისტრი, ქიმიის მაგისტრი | | | ა.ა.ა) სამედიცინო პროფილის დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში ლაბორანტის თანამდებობა (კომპეტენციის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისად); | |
| | | | | ბ.ა) სერტიფიცირებული ლაბორატორიული მედიცინის სპეციალისტი | ბ.ა.ა) სამედიცინო პროფილის დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში სერტიფიცირებული ლაბორანტის ყველა თანამდებობა (მ.შ. ხელმძღვანელი). | |
| 10<br>*(8.10.201* | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დარგი/სპეციალობ | ა) საექთნო საქმის (ექთანი) ბაკალავრი | | | ა.ა.ა) სამედიცინო დაწესებულებაში ექთნის ყველა თანამდებობა (მ. შ. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *5<br>N01-46/ნ<br>)* | ა - საექთნო საქმე<br>(ექთანი/ბებიაქალი) | | | | ხელმძღვანელი);<br>ა.ა.ბ) სამედიცინო<br>დაწესებულების სტატისტიკურ<br>ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი;<br>ა.ა.გ) პროფილურ სამეცნიერო და<br>საგანმანათლებლო დაწესებულებაში -<br>მოქმედი კანონმდებლობით<br>გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | ბ) საექთნო საქმის<br>(ბებიაქალი) ბაკალავრი | | | ბ.ა.ა) სამედიცინო დაწესებულებაში<br>ბებიაქალის ყველა თანამდებობა (მ. შ.<br>ხელმძღვანელი);<br>ბ.ა.ბ) სამედიცინო დაწესებულების<br>სტატისტიკურ ანგარიშგებაზე<br>პასუხისმგებელი პირი;<br>ბ.ა.გ) პროფილურ სამეცნიერო და<br>საგანმანათლებლო დაწესებულებაში -<br>მოქმედი კანონმდებლობით<br>გათვალისწინებული თანამდებობა. | |
| | | გ) საექთნო საქმის (ექთანი)<br>ბაკალავრიატის<br>საგანმანათლებლო<br>პროგრამის სტუდენტი<br>(III-VIII სემესტრი) | | | გ.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების<br>ექთნის თანაშემწე (უმცროსი ექთანი). | |
| | | დ) საექთნო საქმის<br>(ბებიაქალი)<br>ბაკალავრიატის<br>საგანმანათლებლო<br>პროგრამის სტუდენტი<br>(III-VIII სემესტრი) | | | დ.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების<br>ექთნის თანაშემწე (უმცროსი ექთანი). | |
| | | ე) საექთნო საქმის (ექთანი)<br>ბაკალავრიატის<br>საგანმანათლებლო<br>პროგრამის სტუდენტი<br>(V-VIII სემესტრი) | | | ე.ა.ა)სამედიცინო დაწესებულების<br>ექთნის თანამდებობა. | |
| | | ვ) საექთნო საქმის<br>(ბებიაქალი)<br>ბაკალავრიატის<br>საგანმანათლებლო<br>პროგრამის სტუდენტი<br>(V-VIII სემესტრი) | | | ვ.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების<br>ბებიაქალის თანამდებობა. | |
| 11<br>*(8.10.201<br>5<br>N01-46/ნ<br>)* | პროფესიული საგანმანათლებლო<br>პროგრამის განმახორციელებელი<br>დაწესებულება, დარგი/სპეციალობა<br>-საექთნო საქმე | ა) პრაქტიკოსი ექთანი | ფერშალი, მედიცინის<br>და (მედ. ძმა), ბავშვთა<br>დაწესებულების<br>მედდა/ექთანი,<br>ზოგადი პროფილის<br>მედდა/ექთანი,<br>ექთანი | | ა.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების<br>ექთნის თანამდებობა;<br>ა.ა.ბ) სამედიცინო დაწესებულების<br>ექთნის ხელმძღვანელი თანამდებობა<br>ხელმძღვანელ თანამდებობაზე 3 წლის<br>მუშაობის სტაჟის არსებობის<br>შემთხვევაში ან გადამზადების<br>შესაბამისი კურსის გავლის შემდეგ;<br>ა.ა.გ) სამედიცინო დაწესებულების<br>ექთნის თანაშემწე (უმცროსი ექთანი);<br>ა.ა.დ) სამედიცინო და<br>სტომატოლოგიური პროფილის<br>კაბინეტის/<br>დაწესებულების სტატისტიკურ<br>ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი. | |
| | | ბ) პრაქტიკოსი ბებიაქალი | ბებიაქალი, მეანი | | ბ.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების<br>ბებიაქალის თანამდებობა;<br>ბ.ა.ბ) სამედიცინო დაწესებულების<br>მეანის/ბებიაქალის<br>ხელმძღვანელი თანამდებობა<br>ხელმძღვანელ თანამდებობაზე 3 წლის<br>მუშაობის სტაჟის არსებობის<br>შემთხვევაში ან გადამზადების<br>შესაბამისი კურსის გავლის შემდეგ;<br><br>ბ.ა.გ) საფერშლო-საბებიო პუნქტის,<br>დედათა და ბავშვთა ოთახის ექთნის<br>თანამდებობა;<br><br>ბ.ა.დ) სამედიცინო დაწესებულების<br>ექთნის თანამდებობა აღნიშნული<br>სპეციალობით 3 წლის მუშაობის სტაჟის<br>არსებობის შემთხვევაში ან<br>გადამზადების შესაბამისი კურსის<br>გავლის შემდეგ (მხოლოდ 2007 წლამდე<br>კურსდამთავრებული);<br>ბ.ა.ე) სამედიცინო დაწესებულების<br>ექთნის ხელმძღვანელი თანამდებობა<br>ხელმძღვანელ თანამდებობაზე 3 წლის<br>მუშაობის სტაჟის არსებობის<br>შემთხვევაში ან გადამზადების<br>შესაბამისი კურსის გავლის შემდეგ<br>(მხოლოდ 2007 წლამდე | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | კურსდამთავრებული);<br>ბ.ა.ვ) სამედიცინო დაწესებულების ექთნის თანაშემწე (უმცროსი ექთანი);<br>ბ.ა.ზ) სამედიცინო და სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი. | |
| | | | გ) ფერშალ-ლაბორანტი, ლაბორანტი | | გ.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების ლაბორატორიის საშუალო სამედიცინო პერსონალი;<br>გ.ა.ბ) სამედიცინო დაწესებულების ექთნის თანამდებობა აღნიშნული სპეციალობით 3 წლის მუშაობის სტაჟის არსებობის შემთხვევაში ან გადამზადების შესაბამისი კურსის გავლის შემდეგ (მხოლოდ 2007 წლამდე კურსდამთავრებული);<br>გ.ა.გ) სამედიცინო დაწესებულების ექთნის თანაშემწე (უმცროსი ექთანი);<br>გ.ა.დ) სამედიცინო და სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი. | |
| | | | დ) სანიტარული ფერშალი | | დ.ა.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულების ექთნის თანამდებობა;<br><br>დ.ა.ბ) სამედიცინო დაწესებულების ექთნის თანამდებობა აღნიშნული სპეციალობით 3 წლის მუშაობის სტაჟის არსებობის შემთხვევაში ან გადამზადების შესაბამისი კურსის გავლის შემდეგ (მხოლოდ 2007 წლამდე კურსდამთავრებული);<br>დ.ა.გ) სამედიცინო დაწესებულების ექთნის ხელმძღვანელი თანამდებობა ხელმძღვანელ თანამდებობაზე 3 წლის მუშაობის სტაჟის არსებობის შემთხვევაში ან გადამზადების შესაბამისი კურსის გავლის შემდეგ(მხოლოდ 2007 წლამდე კურსდამთავრებული);<br>დ.ა.დ) სამედიცინო დაწესებულების ექთნის თანაშემწე (უმცროსი ექთანი);<br>დ.ა.ე) სამედიცინო და სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი. | |
| | | ე) ექთნის თანაშემწე (მომვლელი, ძიძა, გერიატრია) | | | ე.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების ექთნის თანაშემწე (უმცროსი ექთანი);<br>ე.ა.ბ) ხანგრძლივი მოვლის დაწესებულების მომვლელი/ძიძა;<br>ე.ა.გ) ბინაზე მომვლელი/ ძიძა;<br>ე.ა.დ) მომვლელი /ძიძა მგზავრობის/მოგზაურობის დროს. | |
| 12. | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება, დარგი/სპეციალობა -მედიცინა | ა) სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი | | | ა.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების (მ.შ. ლაბორატორიების, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, პროფილაქტიკური, სარეაბილიტაციო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების) სამედიცინო მოწყობილობათა ოპერატორის ყველა თანამდებობა;<br><br>ა.ა.ბ) ფარმაცევტული დაწესებულების (მ.შ.ლაბორატორიების, სამეცნიერო-კვლევითი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ინსტიტუტების) ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის ყველა თანამდებობა;<br><br>ა.ა.გ) სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა სერვისის ცენტრების სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის ყველა თანამდებობა. | |
| | | ბ) ოპტიკოსი | ტექნიკოს-ოპტიკი | | ბ.ა.ა) სამედიცინო ოპტიკის ტექნიკოსი | |
| | | გ) სამედიცინო კოსმეტოლოგი | | | გ.ა.ა) სამედიცინო პროფილის დაწესებულებათა კოსმეტოლოგიური კაბინეტის კოსმეტოლოგიის სპეციალისტის თანამდებობა;<br>გ.ა.ბ) ჰიგიენური პროფილის სალონის კოსმეტოლოგიური კაბინეტის კოსმეტოლოგიის სპეციალისტის თანამდებობა. | |
| 13. | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება, დარგი/სპეციალობა -სტომატოლოგია | ა) კბილის ტექნიკოსი | | | ა.ა.ა) სტომატოლოგიური დაწესებულების კბილის ტექნიკოსი (მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად).<br><br>ა.ა.ბ) კბილის სატექნიკო ლაბორატორიის ტექნიკოსი (მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად). | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 14. *12.01.2016 N01-1/ნ)* | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - ფარმაცია | ა)ფარმაცევტის თანაშემწე | ფარმაცევტი | | ა.ა.ა) ფარმაცევტულ დაწესებულებებში: ავტორიზებული აფთიაქი - თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციასთან, ასევე, დამხმარე საქმიანობის განხორციელება;<br><br>ა.ა.ბ) ფარმაცევტულ დაწესებულებებში: ავტორიზებული აფთიაქი - თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია ფარმაცევტული პროდუქტის მომზადებასთან (ფარმაცევტის ასისტენტი);<br><br>ა.ა.გ) ფარმაცევტულ დაწესებულებაში - აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი) - თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტლი პროდუქტის რეალიზაციასთან, ასევე, დამხმარე საქმიანობის განხორციელება;<br><br>ა.ა.დ) ფარმაცევტულ დაწესებულებაში - საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი - თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტლი პროდუქტის რეალიზაციასთან, ასევე, დამხმარე საქმიანობის განხორციელება;<br><br>ა.ა.ე) ფარმაცევტული წარმოება - კვალიფიკაციის შესაბამისი თანამდებობა;<br><br>ა.ა.ვ) ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ და წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში -კვალიფიკაციის შესაბამისი თანამდებობა. | საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია: ა)ავტორიზებული და/ან აკრედიტებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ; ბ)საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მქონე დაწესებულების მიერ; გ) დაწესებულების მიერ, რომლებიც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე არ ექვემდებარებოდა ლიცენზირებას და საქმიანობას ახორციელებდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, აგრეთვე სახელმწიფოს 100%-იანი წილით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. |
| 15. | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება, დარგი/სპეციალობა - ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია | ა) მასაჟისტი | სამკურნალო ფიზკულტურის და მასაჟის ინსტრუქტორ-მეთოდისტი | | ა.ა.ა) სამედიცინო დაწესებულების (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, დისპანსერი, სანატორიუმი, რეაბილიტაციის ცენტრი და სხვ.) მასაჟისტის თანამდებობა (მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად);<br><br>ა.ა.ბ) დაწესებულებებში, რომლებიც ემსახურებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს (პანსიონატები, დღის ცენტრები, ინვალიდთა სახლები და სხვ.) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მასაჟისტის თანამდებობა (მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად);<br>ა.ა.გ) ჰიგიენური პროფილის სალონის სამკურნალო ფიზკულტურის და მასაჟის კაბინეტში მასაჟისტის თანამდებობა (მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად);<br><br>ა.ა.დ) საბავშვო დაწესებულების სამკურნალო ფიზკულტურის და მასაჟის კაბინეტში მასაჟისტის თანამდებობა (მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად);<br><br>ა.ა.ე) ბინაზე მომსახურე მასაჟისტი (მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად) ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. | |
| | | ბ) აკუპუნქტურისტი | | | ბ.ა.ა) სამედიცინო პროფილის დაწესებულების შესაბამისი კაბინეტის აკუპუნქტურის სპეციალისტის თანამდებობა;<br><br>ბ.ა.ბ) ჰიგიენური პროფილის სალონის შესაბამის კაბინეტში აკუპუნქტურის სპეციალისტის თანამდებობა. | |
| | | გ) პროთეზისტი | ტექნიკოს-ტექნოლოგი | | გ.ა.ა) საპროთეზო წარმოების ტექნიკოსი. | |
| | | დ) სილამაზის (სპა) თერაპევტი | | | დ.ა.ა) ჰიგიენური პროფილის სალონის შესაბამის კაბინეტში სილამაზის (სპა) თერაპევტის თანამდებობა. | |
| | | ე) კოსმეტიკოსი | | | ე.ა.ა) ჰიგიენური პროფილის კაბინეტის კოსმეტიკოსის თანამდებობა | |

შენიშვნა:

დასაქმების მიზნებისათვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცებამდე განსაზღვრული იმ კვალიფიკაციების, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დანართით, შესაბამისობის განსაზღვრას ამ დანართით გათვალისწინებულ კვალიფიკაციებთან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციის გათვალისწინებით ახდენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.